საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეკადენტობა

დეკადენტობა (ფრანგ. decadence

დ. ქადაგებს სამოქალაქო მოტივებისა და პოლიტიკისაგან თავისუფალ ხელოვნებას – „ხელოვნებას ხელოვნებისათვის". მისთვის დამახასიათებელია უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი. დეკადენტური განწყობილების გამომხატველი *ლიტ.* მიმდინარეობანია სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, სიურრეალიზმი და სხვ. დეკადენტური ხელოვნების ზოგიერთი თავისებურება გაერთიანებულია ტერმინით მოდერნიზმი. დ-ის მოტივები მრავალი გამოჩენილი ხელოვნის შემოქმედებაში აისახა, თუმცა ყველას შემოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დეკადენტურად. დეკადენტური მოტივები ლიტ-რაში პირველად ფრანგ სიმბოლისტებთან გაჩნდა (პ. ვერლენი, ა. რემბო, ს. მალარმე), რ-თა იდეები და განწყობილებანი შემდგომ განავითარეს საფრანგეთში – პ. ვალერიმ, პ. კლოდელმა, ა. ჟიდმა, მ. პრუსტმა და სხვ.; ინგლისში – დ. გ. როსეტიმ, ო. უაილდმა; გერმანიაში – შ. გეორგემ; იტალიაში – გ. დ’ანუნციომ; ბელგიაში – მ. მეტერლინკმა; ავსტრიაში – ჰ. ჰოფმანსთალმა, რ. მ. რილკემ; რუსეთში – სიმბოლისტმა პოეტებმა (ნ. მინსკი, დ. მერეჟკოვსკი, ზ. გიპიუსი, თ. სოლოგუბი, ვ. ბრიუსოვი, კ. ბალმონტი, ა. ბელი) და ნატურალისტმა პროზაიკოსებმა (მ. არციბაშევი, ა. კამენსკი და სხვ.).

XX ს. დასაწყისის ქართ. ლიტ-რაში მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა დეკადენტური მოტივები. სასოწარკვეთილებისა და უიმედობის, დაცემულობისა და სულიერი მარტოობის განცდამ თავი იჩინა იმ ქართვ. პოეტთა შემოქმედებაში (ა. აბაშელი, გ. ტაბიძე და სხვ.), რ-ებისთვისაც უცხო იყო დეკადენტური მსოფლაღქმა. დ-ის ესთეტ. პოზიციებს ნაწილობრივ იზიარებდნენ „ცისფერყანწელები" (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ.

ლეონიძე, კ.ნადირაძე, შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე).

20-იანი წწ. დასაწყისში დ-ს მნიშვნელოვანი ხარკი გადაუხადა ტ. გრანელმა. გ. რობაქიძემ თავისი ლექციებით და მხატვრული შემოქმედებით ხელი შეუწყო მის გავრცელებას. დ-ის გავლენა განიცადეს კ. გამსახურდიამ და „აკადემიური მწერლობის კავშირის" ზოგიერთმა სხვა წარმომადგენელმა.

თ. ბარბაქაძე